






ჩვენი კოდექსი







ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც მართებულია



წარმოგიდგენთ ჩვენს ქცევის კოდექსს.

კოდექსი ჩვენი სასაუბრო ენაა. მიუხედავად იმისა, თუ მსოფლიოს რომელ კუთხეში ვმუშაობთ ან რა გამოწვევების წინაშე ვდგავართ. ის ამყარებს ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის პრინციპებსა და მოლოდინებს, უზრუნველყოფს ეთიკური გადაწყვეტილების მიღებას და ადგენს საქმის მართებულად კეთების სტანდარტს.

ჩვენი კოდექსი ჩვენი კომპანიის მყარი საფუძველია. მასზე დაყრდნობით ვმუშაობთ - აღმასრულებელ გუნდშიც და წინა ხაზზეც. კოდექსის პრინციპებით წარმართავს bp რესურსების ათვისებას, ენერგიის წარმოებას, ურთიერთობას ადგილობრივ თემთან, ჩვენს თანამშრომლებთან და საზოგადოებასთან. ის ჩვენი მეგზურია, როდესაც არ ვართ დარწმუნებული ან ვღელავთ იმ არჩევნის გამო, რომლის წინაშეც ვდგავართ.


უფრო მეტიც, ჩვენი კოდექსი წამოადგენს „ვინ ვართ ჩვენ“ პრინციპების საფუძველს, როგორც კომპანიაში, ასევე ინდივიდუალურად. ის განსაზღვრავს, თუ როგორ ვაღწევთ მიზანს, როგორ ვზრუნავთ სხვებზე და როგორ ვიბრძვით გამარჯვებისთვის - მართებული გზით.

და ბოლოს, ჩვენი კოდექსი გვეხმარება, შევქმნათ გარემო, სადაც ყველას აქვს უფლება, ისაუბროს თამამად, გააზიაროს იდეები, დასვას კითხვები, აღიაროს შეცდომები, მისცეს უკუკავშირი და წამოჭრას პრობლემა შურისძიების შიშის გარეშე. როგორც კოდექსშია აღნიშნული, თქვენთვის ღიაა პრობლემური საკითხების წამოწევის არხები.

აირჩიეთ თქვენთვის ყველაზე მოსახერხებელი: საუბარი მენეჯერთან, მრჩეველთან ან დაკავშირება OpenTalk-თან. თქვენი პასუხისმგებლობაა, წამოჭრათ საკითხი, თუ ხედავთ ან განიცდით რაიმე საფრთხეს, უკანონობას ან ჩვენს კოდექსთან შეუსაბამობას. bp მოგისმენთ და იმოქმედებს.

ნებისმიერი სხვა დებულების მსგავსად, ჩვენი კოდექსი ეფექტური იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას წავიკითხავთ, გავიგებთ და მართებულად გამოვიყენებთ. მე და ჩვენი საბჭოს და აღმასრულებელი გუნდის ყველა წევრი პასუხისმგებელნი ვართ, დავიცვათ კოდექსში მითითებული სტანდარტები. ამას მოველით თქვენგანაც - ვიცით, რომ ასეც იქცევით.

ვხელმძღვანელობთ კოდექსით და ერთად ვაშენებთ უფრო ძლიერ bp-ს.



მეგ ო’ნილი
აღმასრულებელი
დირექტორი

ჩვენი კოდექსი განსაზღვრავს, თუ „ვინ ვართ ჩვენ“ და არის იმის საფუძველი, რასაც ვაკეთებთ.

- პირველ ადგილზე ვაყენებთ უსაფრთხოებას; ცხოვრებაში ვატარებთ ჩვენს უსაფრთხოების პრინციპებს და ვიცავთ ჩვენს OMS-ს. ჩვენ ვიღებთ ეთიკურ გადაწყვეტილებებს, ვმოქმედებთ პასუხისმგებლობით და ვასრულებთ მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.
- ჩვენი კოდექსი გვაძლევს მიმართულებას და საშუალებას წამოვწიოთ ის საკითხი, რომელიც არასწორად მიგვაჩნია და აგრეთვე, მოვუსმინოთ და საჭიროების შემთხვევაში, ვიმოქმედოთ დასმული პრობლემის მოსაგვარებლად.
- ჩვენი კოდექსის შესაბამისად, ჩვენ „ვთამაშობთ მოგებაზე“, მაგრამ არა ყველაფრის ფასად; იმისათვის რომ მოვიგოთ სამართლიანად, ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც მართებულია, ჩვენი მისიის განხორციელებისა და სხვებზე ზრუნვის გზით - ერთად, როგორც bp.

ვინ ვართ ჩვენ



ვცხოვრობთ ჩვენი მიზნებით

უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა

გაუფრთხილდით ერთმანეთს და ჩვენს კომპანიას – რეალურ სამყაროსადა ინტერნეტ სივრცეში

დატოვეთ დადებითი კვალი

ყველგან, სადაც მუშაობთ – და ყველასთან, ვისთანაც მუშაობთ

ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც მართებულია

ყოველთვის იმოქმედეთ ჩვენი კოდექსის შესაბამისად



ვთამაშობთ მოგებაზე

იცოდეთ კონკურენტული გარემოს შესახებ

ყოველთვის არსებობს ვინმე უკეთესი – ჩვენ ვეძებთ სხვადასხვა შეხედულებების ადამიანებს და ვსწავლობთ მათგან

განაგრძეთ უკეთესობისაკენ სწრაფვა

გახდით უფრო მოქნილი, უფრო ციფრული და უფრო ეფექტური ჩვენი დახარჯული ფულით

იყავით ანგარიშვალდებული

ჩვენ ბოლომდე მივყვებით ჩვენსდაპირებებს. თუ ვერ შევძელით ან შევცდით - ჩვენ ამას ვაღიარებთ



ვზრუნავთ სხვებზე

იყავით კეთილმოსურნე

იცნობდეთ ვისთანაც მუშაობთ, გამოიჩინეთ რეალური ინტერესი, იყავით დამხმარე

პირველ ადგილზე დააყენეთ გუნდი

დატოვეთ თქვენი ეგო კართან, იყავით ინკლუზიური, თანამშრომლობაზე ორიენტირებული და გახსნილი გულახდილი უკუკავშირისთვის

წარმოიდგინეთ საკუთარი თავი სხვის ადგილას

განსაკუთრებით ჩვენი პარტნიორების, მომწოდებლების და მომხმარებლების შემთხვევაში – კითხეთ, როგორ შეგვიძლია მათი დახმარება

იმოქმედე მართებულად – შენი გადაწყვეტილების ინსტრუმენტი

თავს არაკომფორტულად გრძნობთ ან გიჭირთ რთული გადაწყვეტილების მიღება? ზოგიერთი ან ყველა შემდეგი კითხვა შეიძლება დაგეხმაროთ:

1. **შეესაბამება თქვენი გადაწყვეტილება კანონს, ჩვენს კოდექსს და "ვინ ვართ ჩვენ"?**
   წაიკითხეთ ჩვენი კოდექსი, ჩვენი შეხედულებები და მხედველობაში მიიღეთ bp-ს შესაბამისი მოთხოვნები.
2. **რა გავლენას მოახდენს თქვენი გადაწყვეტილება?**
   დაფიქრდით, ვის ან რას შეიძლება წაადგეს ან ავნოს, დღეს ან გრძელვადიან პერსპექტივაში.
3. **რა მოხდებოდა, ყველას რომ მიეღო მსგავსი გადაწყვეტილება?**
   გაითვალისწინეთ როგორი იქნებოდა გადაწყვეტილების უფრო ფართო გავლენა, მისი რამდენიმე გუნდის ან ბიზნესის ფარგლებში მიღების შემთხვევაში.
4. **ხომ არ მიგაჩნიათ, რომ ადგილი აქვს მიკერძოებას ან ზეწოლას, რამაც შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს თქვენს გადაწყვეტილებაზე?**
   აიღეთ პაუზა და დაფიქრდით.
5. **გაითვალისწინეთ წარსულში მიღებული გაკვეთილები?**
   უ შეგიძლიათ, გამოიყენეთ ისინი.
6. **შეგიძლიათ დაიცვათ თქვენი გადაწყვეტილება, თუ ის საჯარო გახდა ან ახალ ამბებში მოხვდა?**
   წარმოიდგინეთ თავი სხვა ადამიანის ადგილზე - იფიქრეთ იმაზე, თურა რეაქცია შეიძლება ჰქონდეს ჩვენს დაინტერესებულ მხარეებს: თანამშრომლებს, მომხმარებლებს, პარტნიორებს და საზოგადოებას.

თუ გეეჭვებათ, გადაამოწმეთ! თუ მაინც არაკომფორტულად გრძნობთთავს ან მერყეობთ, გადაამოწმეთ თქვენი გადაწყვეტილება. შეგიძლიათ გადაამოწმოთ თქვენს უშუალო ხელმძღვანელთან ან თქვენთვის სანდო კოლეგასთან, მათ შორის განსხვავებული ხედვის მქონე ადამიანთან.

თქვენ მარტო არ ხართ - საკითხის ექსპერტები და საკითხების წამოწევის ჩვენი არხები ყოველთვის ხელმისაწვდომია. გახსოვდეთ - bp არმოითმენს რაიმე სახის ანგარიშსწორებას.

bp-ის მოთხოვნები და სასარგებლო რესურსები

ვინ ვართ ჩვენ
გადაწყვეტილების ინსტრუმენტი



ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც მართებულია, ამით ვაჩვენებთ **ვინ ვართ ჩვენ**

ჩვენი პასუხისმგებლობა და როგორ წამოვწევთ საკითხებს

06 ჩვენი პასუხისმგებლობა
06 ვინ უნდა დაიცვას ჩვენი კოდექსი
06 როგორ ვაკეთებთ ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ რას ვაკეთებთ
07 საკითხების წამოწევა და OpenTalk
07 ჩვენი პრობლემური საკითხების წამოწევის არხები
07 როგორ ვმართავთ წამოწეულ საკითხებს და ვახორციელებთ გამოძიებას
07 ნულოვანი ტოლერანტობა ანგარიშსწორების მიმართ

უსაფრთხოება და საიმედოობა

09 სამუშაოს წარმოება უსაფრთხოდ და საიმედოდ
09 ჩვენი საიმედოობის ჩარჩოს წარმოდგენა

ადამიანები

11 ინკლუზიურობა
11 დისკრიმინაციისგან და შევიწროებისგან თავისუფალი სამუშაო ადგილი

ბიზნეს პარტნიორები

13 დაამყარეთ და შეინარჩუნეთ სტაბილური საქმიანი ურთიერთობა მომწოდებლებთან და ბიზნეს პარტნიორებთან
13 მტკიცედ აღუდექით წინ მექრთამეობას, კორუფციას და თაღლითობას
13 საჩუქრები და გასართობი ღონისძიებები გაცვალეთ სათანადო წესით
14 მოერიდეთ ანტიკონკურენტულ ქცევას
14 პროაქტიულად მართეთ ინტერესთა კონფლიქტები
14 დაემორჩილეთ საერთაშორისო სავაჭრო კანონმდებლობას
14 ფულის გათეთრების პრევენცია


მთავრობები და საზოგადოებები

16 ადამიანის უფლებები და საზოგადოების ჩართულობა
16 საჯარო კომუნიკაციები
16 ჩვენი დაცვის ქვეშ არსებული პერსონალური მონაცემები
17 ციფრული ტექნოლოგიების ეთიკურად გამოყენება
17 ჩვენი პოზიცია პოლიტიკური საქმიანობის შესახებ

აქტივები და ფინანსური საიმედოობა

19 ჩაწერეთ და შეინახეთ ზუსტი და სრული ინფორმაცია
19 დაიცავით bp-ის ქონება
19 ნუ ჩაერთვებით ინსაიდერულ გარიგებებში
20 ლექსიკონი

ჩვენი პასუხისმგებლობა და როგორ წამოვწევთ საკითხებს



ჩვენი პასუხისმგებლობა

იმისათვის, რომ სანდო კომპანია ვიყოთ და მივაღწიოთ ჩვენს მიზანს, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა იმუშაოს თანმიმდევრული, მაღალი სტანდარტების შესაბამისად ყველაფერში, რასაც ყოველდღიურად ვაკეთებთ და ვამბობთ. ჩვენი კოდექსი ამ სტანდარტებს bp-თვის უზრუნველყოფს.

ჩვენი კოდექსის შესაბამისად მოქმედება სავალდებულოა. თითოეულმა თანამშრომელმა უნდა წაიკითხოს და გაიგოს ჩვენი კოდექსი, დაიცვას მისი პრინციპები და გაამართლოს ყველა დაკავშირებული მოლოდინი. ჩვენი კოდექსი მოიცავს წვდომის ბმულებს bp-ს სხვა შესაბამის მოთხოვნებზე (bp პოლიტიკა, bp პროცედურები და bp პრაქტიკა), ჩვენი უსაფრთხოების პრინციპებსა და OMS-ზე. თქვენ უნდა იცნობდეთ bp-ს ამ მოთხოვნებს და შეასრულოთ ისინი, რამდენადაც ისინი თქვენს საქმიანობას ეხება. bp-ის ნებისმიერი მოთხოვნის დარღვევა ჩვენი კოდექსის დარღვევაა.

ჩვენი კოდექსი არის საჯარო განცხადება, რომ bp მოწოდებულია აკეთოს ის, რაც ჩვენ გვწამს, რომ მართებულია. ეს ასევე ღირებული რესურსია, რომელიც დაგეხმარებათ ინფორმირებული, ეთიკური გადაწყვეტილებების მიღებაში და მართებული საქმის კეთებაში. ეს ნიშნავს იმაზე ფიქრს, თუ როგორ აკეთებ საქმეს – ისევე როგორც იმას, რას აკეთებ - და განსახილველად წამონევ იმ საკითხს, რომელიც სწორად არ მიგაჩნია.

იმის გამო, რომ ვერცერთი ქცევის კოდექსი სრულად ვერ მოიცავს ყველა სიტუაციას, bp თქვენგან ელის კეთილგონიერებას ჩვენი კოდექსის შესაბამისად და რომ იხელმძღვანელებთ „ვინ ვართ ჩვენ“ და ჩვენი უსაფრთხოების პრინციპებით. თქვენ გაგაჩნიათ ვალდებულება განაცხადოთ, როდესაც გაქვთ შეკითხვები ან წუხილები.

ჩვენ ვსაქმიანობთ ბევრ ქვეყანაში. შესაძლოა იყოს შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი კანონები, რეგულაციები ან ტრადიციები ეწინააღმდეგება ჩვენს კოდექსს. როდესაც არსებობს კონფლიქტი ან განსხვავება მოქმედ კანონს ან რეგულაციასა და ჩვენს კოდექსს შორის, თქვენ უნდა იხელმძღვანელოთ ყველაზე მკაცრი სტანდარტით. ნუ მიყვებით ტრადიციებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენს კოდექსს. თუ არ ხართ დარწმუნებული, დაუკავშირდით თქვენს ECL-ს, PC&C-ს ან იურიდიულ განყოფილებას.

ვინ უნდა დაიცვას ჩვენი კოდექსი

ჩვენი კოდექსი ეხება bp-ის ყველა თანამშრომელს, ოფიცერს და საბჭოს წევრს. ჩვენი მოლოდინები ვრცელდება როგორც პირისპირ ურთიერთობისას, ასევე ინტერნეტ სივრცეში. ქმედება, რომელიც სამუშაო ადგილის ფარგლებს გარეთ იქნა ჩადენილი, შეიძლება ჩვენი კოდექსის დარღვევად ჩაითვალოს, მაგალითად იმ შემთხვევაში, როდესაც ის არღვევს bp-ის მოთხოვნებს, უარყოფითად მოქმედებს სამუშაო გარემოზე ან ზიანს აყენებს bp-ის ლეგიტიმურ ბიზნეს ინტერესებს.

ჩვენი კოდექსის მოთხოვნების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს დისციპლინური ღონისძიება, მათ შორის შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა.

ბიზნეს პარტნიორების, მათ შორის ერთობლივი საწარმოებისა და მესამე პირების, ქცევამ შესაძლოა პირდაპირი გავლენა მოახდინოს ჩვენს რეპუტაციაზე. ჩვენ გვსურს ვიმუშაოთ ბიზნეს პარტნიორებთან, რომლებიც იზიარებენ ჩვენს მოწოდებას უსაფრთხოების, ეთიკისა და ნორმებთან შესაბამისობის სფეროში.

ჩვენ გვაქვს მოლოდინი და მოვუწოდებთ ყველა ჩვენს კონტრაქტორს და მათ თანამშრომლებს იმოქმედონ ჩვენს კოდექსთან შესაბამისობაში. ჩვენ გვაქვს მოლოდინი და მოვუწოდებთ ყველა ჩვენს კონტრაქტორს და მათ თანამშრომლებს იმოქმედონ ჩვენს კოდექსთან შესაბამისობაში. ჩვენ გავატარებთ შესაბამის ზომებს იქ, სადაც დავინახავთ, რომ არ აკმაყოფილებენ ჩვენს მოლოდინებს ან სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

იყავით კეთილმოსურნე

როგორ ვაკეთებთ ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ის, თუ რას ვაკეთებთ

პასუხისმგებლობები, თუ თანამშრომელი ხართ

- წაიკითხეთ, გაიგეთ და იმოქმედეთ ჩვენი კოდექსის შესაბამისად, იხელმძღვანელეთ „ვინ ვართ ჩვენ“ და ჩვენი უსაფრთხოების პრინციპებით.
- წამოწიეთ საკითხები, დასვით კითხვები და გამოთქვით შეშფოთება, თუ თქვენთვის ცნობილი გახდა მოქმედი კანონმდებლობის, რეგულაციების ან ჩვენი კოდექსის შესაძლო დარღვევების შესახებ. სრულად ითანამშრომლეთ bp-ის გამოძიებასა და აუდიტთან.
- გაიგეთ და მართეთ ის რისკები, რომლებიც თქვენს როლს უკავშირდება, მიჰყევით ყველა მოქმედ bp მოთხოვნას და გაიარეთ თქვენთვის განკუთვნილი ყველა სავალდებულო სწავლების კურსი.
- გაიარეთ ყოველწლიური სერტიფიცირება, იმის დასტურად, რომ მოქმედებდით ჩვენი კოდექსის შესაბამისად.

დამატებითი პასუხისმგებლობები, იმ შემთხვევაში თუ ხელმძღვანელი ხართ

- იყავით სამაგალითო “ვინ ვართ ჩვენ” თქვენი გუნდის წევრებთან ერთად და შექმენით გარემო, რომელიც არის მზრუნველი, პატივისცემაზე დაფუძნებული, ინკლუზიური და სამართლიანი.
- წაახალისეთ თქვენი გუნდი წამოწიონ საკითხები და წამოწევის შემთხვევაში აჩვენეთ თქვენი მხარდაჭერა, მოსმენით, რეაგირებით და მათ მიმართ შესაძლო ანგარიშსწორების თავიდან ასაცილებლად მიმართული თქვენი წილი ქმედებით.
- ხელი შეუწყეთ ნორმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას და რისკების მართვას თქვენს გუნდში ჩვენი კოდექსის მოლოდინების, არსებული რისკების და მოთხოვნების რეგულარულად განხილვით და სავალდებულო სწავლების დროული შესრულების მნიშვნელობის გამოკვეთით.
- წაახალისეთ მართებული ქცევები, მართეთ ცუდი ქცევები და იყავით თანმიმდევრული, როდესაც ადამიანებს პასუხისმგებლობას აკისრებთ.

bp-ის მოთხოვნები და სასარგებლო რესურსები

ჩვენი პასუხისმგებლობა

საკითხების წამოწევა

ჩვენ ვზრუნავთ სხვებზე. თითოეულ ჩვენგანს გააჩნია მოხსენების ვალდებულება, თუ ჩვენთვის ცნობილი გახდა რაიმე სახიფათო, უკანონო ან ჩვენს კოდექსთან შეუსაბამო ქმედების შესახებ. ჩვენი უსაფრთხოების პრინციპების შესაბამისად, ვაღიარებთ საკითხებისწამოწევის როლს და ვახალისებთ მას. გვსურს შევისწავლოთ, თუ რატომ დაიშვება შეცდომები და ვუზრუნველყოთ მათზე მხარდაჭერით რეაგირება. თუ გსურთ საკითხის მოხსენება ან გაგაჩნიათ კითხვა, რაშიც დახმარება გჭირდებათ, თქვენ მარტო არ ხართ, ჩვენი საკითხის წამოწევის არხები თქვენთვის ხელმისაწვდომია. ყველა წამოწეულ საკითხს სერიოზულად ვეკიდებით და განვიხილავთ კონფიდენციალურად bp-ის პრობლემური საკითხების მართვის პროცესის შესაბამისად.

ჩვენ ასევე უნდა მოვუსმინოთ, ვიმოქმედოთ და ვისწავლოთ, როდესაც ვინმე საკითხს წამოწევს. თუ არ ხართ დარწმუნებული, როგორ იმოქმედოთ, როდესაც პრობლემური საკითხი მოგახსენეს, მხარდაჭერა ხელმისაწვდომია ჩვენი საკითხის წამოწევის არხების საშუალებით.

OpenTalk

bp-ის გლობალური დახმარების არხი - OpenTalk, არის ინსტრუმენტი, რომლის მეშვეობითაც შეგიძლიათ კონფიდენციალურად წამოწიოთ საკითხები ან მიიღოთ პასუხები ჩვენს კოდექსთან დაკავშირებულ კითხვებზე. მას მართავს დამოუკიდებელი კომპანია. ის ხელმისაწვდომია კვირის ნებისმიერი დღის ნებისმიერ დროს, დღისით ან ღამით და შეუძლია დახმარება გაგიწიოთ 75-ზე მეტ ენაზე. ყველას, მათ შორის კონტრაქტორებს, პარტნიორებს, მომწოდებლებს და მომხმარებლებს შეუძლიათ გამოიყენონ OpenTalk. OpenTalk-ს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ანონიმურად უმეტესი ადგილმდებარეობიდან.

ყველაფერი, რასაც თქვენ მოახსენებთ, შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად კონფიდენციალური იქნება კანონისა და საუკეთესო ბიზნეს პრაქტიკის შესაბამისად.

ჩვენი პრობლემური საკითხების წამოწევის არხები

დაუკავშირდით თქვენს უშუალო ხელმძღვანელს ან სხვა ხელმძღვანელს

ან

დაუკავშირდით შესაბამის მრჩეველს, როგორიცაა თქვენი ECL, PC&C, იურიდიული განყოფილება, E&C, S&ORA

ან

დაუკავშირდით OpenTalk-ს

დამატებითი ინფორმაციისთვის, მათ შორის ადგილობრივი ტელეფონის ნომრების სანახავად, მოძებნეთ OpenTalk onebp-დან

+44 (0) 800 066 8331
გაერთიანებულ სამეფოში

+1 800 225 6141 აშშ-ში

+1 704 540 2242 გადახდილი“ ნომერი, რომელიც მიიღებს თქვენს ზარს ყოველგვარი საფასურის გარეშე

თქვენ ასევე შეგიძლიათ წარადგინოთ პრობლემური საკითხი ვებგვერდის საშუალებით: **www.opentalkweb.com**

bp-ის მოთხოვნები და სასარგებლო რესურსები

პრობლემური საკითხების წამოწევა და OpenTalk

როგორ ვმართავთ წამოწეულ საკითხებს და გამოძიებას

მართებული საქმის კეთება ნიშნავს ნებისმიერიწამოჭრილი საკითხის მოსმენას და შეფასებას. საჭიროების შემთხვევაში, ჩვენი BI გუნდი (E&C-ის ნაწილი) გამოიძიებს ჩვენი კოდექსის შესაძლო დარღვევას.

ნულოვანი ტოლერანტობა ანგარიშსწორების მიმართ

bp არ მოითმენს ანგარიშსწორებას.

ჩვენ ანგარიშსწორების შემთხვევებს განვიხილავთ გადაცდომად. ანგარიშსწორებას შეიძლება ჰქონდეს მრავალი ფორმა, მათ შორის მუქარა, დაშინება, გარიცხვა, დამცირება და საკითხების ბოროტი განზრახვით წამოჭრა.

თუ ფიქრობთ, რომ თქვენ ან ვინმე, ვისაც იცნობთ, განიცდის ანგარიშსწორებას ვინმეს მხრიდან, დაუკავშირდით ჩვენს რომელიმე პრობლემური საკითხების წამოწევის არხს.

ჩვენ ვაფასებთ

ზოგადად, როდესაც პრობლემური საკითხი წამოიჭრება, პირველადი განხილვის გუნდი (მათ შორის E&C, PC&C და ECL) იღებს გადაწყვეტილებას, საკითხი ხელმძღვანელობის ჩართულობით მართოს თუ გადასცეს შიდა გამოძიებას. პროცესი ყოველთვის კონფიდენციალური დარჩება, აუცილებლად გასაცნობი პროტოკოლების გათვალისწინებით.

ჩვენ წარვმართავთ

საკითხის ხელმძღვანელობის ჩართულობის გზით მართვის შემთხვევაში, პროცესი წარიმართება შესაბამისი ბიზნეს დანაყოფის მითითების გათვალისწინებით.


თუ გადავწყვეტთ გამოძიების ჩატარებას, BI ჩაატარებს სრულყოფილ, დროულ გამოძიებას შესაბამისი ფაქტების შეგროვებით და ანალიზით გადაწყვეტილების მისაღებად.

ჩვენ ვმოქმედებთ

ბიზნესის მხრიდან დანიშნული პირი განიხილავს დადგენილ ფაქტებს და გადაწყვეტს, რა ღონისძიება უნდა გატარდეს. ეს შეიძლება მოიცავდეს დისციპლინარულ ღონისძიებას, bp-ის დისციპლინარულ პოლიტიკის შესაბამისად. უკუკავშირი მიეწოდება იმ პირს, ვინც პრობლემური საკითხი წამოჭრა კონფიდენციალურობის პრინციპების შესაბამისად.

უსაფრთხოება და საიმედოობა

უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა



ჩვენი პრინციპები

უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა. არაფერია უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ჩვენი ხალხისა და მათი უსაფრთხოება, ვისთან ერთადაც ვმუშაობთ. ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ გარემოს დასაცავად და ჩვენი მიზნის და საიმედოობის ჩარჩოს სისრულეში მოსაყვანად.

bp-ის მოთხოვნები და სასარგებლო რესურსები

სამუშაო აწარმოეთ უსაფრთხოდ და საიმედოდ

ჩვენი საიმედოობის ჩარჩოს წარდგენა

– მართვის სისტემის მუშაობა

– უსაფრთხო ხელმძღვანელობის პრინციპები

ჩვენი მოლოდინები

იმუშავეთ უსაფრთხოდ და საიმედოდ

ჩვენ უნდა ვიყოთ ფხიზლები, დისციპლინირებულიდა ყოველთვის ვიზრუნოთ ერთმანეთზე. თითოეული ჩვენგანი პასუხისმგებელია უსაფრთხოდ მუშაობაზე და ჩვენი უსაფრთხოების პრინციპების დაცვაზე. არ მოვითმენთ მუქარას, დაშინებას და ძალადობას.

ჩვენი უსაფრთხო ხელმძღვანელობის პრინციპები

ერთად ჩვენ...

გულწრფელად ვზრუნავთ ერთმანეთზე

არ დავუშვებთ კომპრომისს ჩვენს უსაფრთხოებაზე ყურადღების მოდუნების ხარჯზე

წავახალისებთ და ვაღიარებთ **პრობლემური საკითხების წამოწევას**

გავიგებთ, როგორ მიმდინარეობს მუშაობა **სინამდვილეში**

შევისწავლით, თუ რატომ დაიშვება შეცდომები და **ვუზრუნველყობთ მათზე მხარდაჭერით რეაგირებას.**

ჩვენი HSSE მოლოდინები, რომლებიც დადგენილია თითოეული ობიექტის ან ბიზნეს დანაყოფისათვის, ჩვენი საწარმოების მიერ პრაქტიკაში უნდა განხორციელდეს OMS-ის სისტემატური გამოყენებით.

- ნუ შეასრულებთ სამუშაოს, რომლის შესრულების კვალიფიკაცია არ გაქვთ.
- შეწყვიტეთ მუშაობა - საკუთარი ან სხვისი - თუ მას უსაფრთხოდ არ მიიჩნევთ.
- დარწმუნდით, რომ თქვენი შრომისუნარიანობა არ გაუარესდა, მაგალითად, ალკოჰოლის, ნარკოტიკების (მათ შორის რეცეპტით გაცემული ან ურეცეპტოდ გაცემული მედიკამენტების) ან ძილის ნაკლებობის გამო.
- გვაცნობეთ, თუ აღმოაჩინეთ სახიფათო ან არაჯანსაღი სამუშაო გარემო. მოუსმინეთ სხვებს, რომლებიც საკითხებს წამოწევენ.
- შემთხვევის, დაზიანების, ავადმყოფობის ან სახიფათო მდგომარეობის შესახებ. არასოდეს იფიქროთ, რომ სხვა ვინმე განაცხადებს ან შეატყობინებს რისკის ან პრობლემის შესახებ.
- იცნობდეთ საგანგებო პროცედურებს, რომლებიც მოქმედებს იქ, სადაც მუშაობთ.
- გქონდეთ მოლოდინი და წაახალისეთ კონტრაქტორები და ის, ვისთან ერთადაც ვმუშაობთ შეასრულონ HSSE–ს მოქმედი მოთხოვნები.

ჩვენი საიმედოობის ჩარჩოს წარდგენა

თითოეულ ჩვენგანს აკისრია ფუნქცია, რომელიც მხარს უჭერს ჩვენ საიმედოობის ჩარჩოს - მივაღწიოთ წმინდა ნულს (net zero), გავაუმჯობესოთ ადამიანების ცხოვრება და ვიზრუნოთ ჩვენს პლანეტაზე.

- შეიტანეთ თქვენი წვლილი ჩვენი საიმედოობის ჩარჩოს შესრულებაში.
- გაიგეთ და იმოქმედეთ bp-ის გარემოსდაცვისა და სოციალური პოლიტიკის და პრაქტიკის შესაბამისად.

ადამიანები



საკუთარ თავს წარმოვიდგენთ სხვა

ადამიანების ადგილზე

ჩვენი პრინციპები

ჩვენი ხალხი bp-ის წარმატების მთავარი საწინდარია. ჩვენ პირველ ადგილზე ვაყენებთ გუნდს. ჩვენ პატივს ვცემთ და ვზრუნავთ ერთმანეთზე. როდესაც კეთილგანწყობილი ვართ და საკუთარ თავს სხვა ადამიანების ადგილას წარმოვიდგენთ, ჩვენ ვიგებთ ინდივიდუალურად და როგორც კომპანია.

ჩვენ გვსურს, რომ ჩვენს თანამშრომლებს და ჩვენთან მომუშავე პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, იმუშაონ მაქსიმალურად ეფექტურად -- მიუხედავად იმისა, თუ ვინ არიან ისინი, საიდან არიან წარმოშობით ან რა წარმომავლობა აქვთ.

ჩვენ არ მოვითმენთ ანგარიშსწორების არცერთ ფორმას იმ კოლეგების მიმართ, რომლებიც წამოწევენ საკითხებს.

ჩვენს კოდექსში მოცემული მოლოდინები ვრცელდება როგორც უშუალო ურთიერთობაზე, ასევე ინტერნეტ სივრცეში. თქვენმა ქცევამ სამუშაო ადგილზე არ უნდა დაარღვიოს ჩვენი კოდექსი.

bp-ის მოთხოვნები და სასარგებლო რესურსები

ინკლუზიურობა bp-ში

დისკრიმინაციისგან და შევიწროებისგან თავისუფალი სამუშაო გარემო

– პოლიტიკა: პროფესიული განვითარება
– პოლიტიკა: დისციპლინარული წარმოება

ჩვენი მოლოდინები

ინკლუზიურობა

ჩვენ ყველას ვეპყრობით სამართლიანად და პატივისცემით და ველით, რომ ყველა ვისთანაც ვმუშაობთ ასევე მოიქცევა. ჩვენ ვაფასებთ იმუნიკალურ წვლილს, რომელიც თითოეულ ადამიანს შეაქვს bp-ში და ვცდილობთ მივაღწიოთ თანაბარ შესაძლებლობებს ყველასთვის. ჩვენ ვაღიარებთ, რომ ხედვების, წარმომავლობის, უნარებისა და გამოცდილების მრავალფეროვნება კარგია ჩვენი სამუშაო ძალისა და ჩვენი ბიზნესისთვის. ეს აუმჯობესებს ჩვენს მუშაობას და გვძენს მეტ კონკურენტუნარიანობას.

- შეიტყეთ თქვენი კოლეგების საჭიროებების შესახებ და შეიტანეთ თქვენი წვლილი ინკლუზიურობაზე დაფუძნებული კულტურისა და „ვზრუნავთ სხვებზე“ პრინციპის განხორციელებაში.
- მხარი დაუჭირეთ ინკლუზიური გარემოსა და გამოცდილების შექმნას.
- პატივი ეცით თქვენი კოლეგების მრავალფეროვან შეხედულებებსა და მოსაზრებებს.
- პატივი ეცით კულტურულ განსხვავებებს.
- გაამხნევეთ და მოუსმინეთ მათ, ვინც საკითხებს წამოწევს.

დისკრიმინაციისგან და შევიწროებისგან თავისუფალი სამუშაო გარემო

დისკრიმინაცია

ჩვენ არ მოვითმენთ უსამართლო დისკრიმინაციას ჩვენს სამუშაო ადგილებზე ან სამუშაოზე აყვანის, განვითარებისა და კარიერული წინსვლის დროს.

- სამსახურებრივი გადაწყვეტილებები, მათ შორის დაკავშირებული დაჯილდოებასა და სხვა სარგებელთან, მიიღეთ პირის დამსახურების გათვალისწინებით.
- არ მოახდინოთ დისკრიმინაცია რასის, ეთნიკური წარმომავლობის, ეროვნული წარმოშობის, რელიგიის, სქესის, ასაკის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ოჯახური მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობების, ვეტერანის სტატუსის ან რომელიმე სხვა ნიშნით, რომელიც მოქმედი კანონით არის დაცული.

შევიწროება

ჩვენ არ მოვითმენთ ფიზიკურ, სიტყვიერ ან არასიტყვიერ შეურაცხყოფას ან შევიწროებას. ეს მოიცავს ნებისმიერ არასასურველ ქცევას, რომელიც გონივრულ ფარგლებში შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხყოფად, დაშინებად ან დამცირებად, აგრეთვე, სექსუალური შევიწროების ნებისმიერ ფორმას. გამომრიცხავ ქცევად ასევე შეიძლება ჩაითვალოს შევიწროება ან ბულინგი.

- ყველას პატივისცემით მოეპყარით.
- ხელი შეუწყეთ ისეთი სამუშაო გარემოს შექმნას, რომელიც შევიწროების ყველა ფორმისგან იქნება თავისუფალი.
- ნუ მიიღებთ მონაწილეობას ისეთ ქმედებაში, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც შეურაცხყოფა ან შევიწროება.
- ნუ გაავრცელებთ შეურაცხმყოფელ შეტყობინებებს, დამამცირებელ შენიშვნებს ან უადგილო ხუმრობებს. ეს მოიცავს სექსუალური ხასიათის კომენტარებს ან ნებისმიერ სხვა სექსუალური სახის შეურაცხმყოფელ ქცევას.
- გაუფრთხილდით ერთმანეთს და მოერიდეთ არაადეკვატურ ქმედებას.

დისკრიმინაციის, შევიწროების და ბულინგის შესახებ უნდა აცნობოთ თქვენს მენეჯერს, PC&C, იურიდიულ განყოფილებას, E&C ან OpenTalk.

ბიზნეს პარტნიორები



ჩვენ მზად ვართ განვაგრძოთ სწრაფვა გაუმჯობესებისკენ

ჩვენი პრინციპები

ჩვენ ვიმარჯვებთ ბიზნესის სწორადწარმართვით და კონკურენციის აღიარებით. ჩვენ მუდმივად ვაუმჯობესებთ შესრულებას მაღალი ეფექტურობის გზით, რომელიც ეფუძნება ეთიკურ და კანონიერ ბიზნეს პრაქტიკას.

ჩვენ ვმუშაობთ ჩვენს ბიზნეს პარტნიორებთან პატიოსნად, ვეკიდებით პატივისცემით და პასუხისმგებლობით. ჩვენ ვართ კომპანია, რომელიც სანდოა.

ჩვენი კოდექსის ამ ნაწილში ამ ნაწილში მოცემული მოთხოვნები ხშირად რთული და სპეციფიურია. bp-ს გააჩნია პროცესი, იმის გამოსავლენად, თუ რამდენად იმყოფება თანამშრომელი ასეთი რისკის ზონაში, რათა უზრუნველყოს იგი შესაბამისი სასწავლო კურსით. თუ თქვენ გაქვთ შეკითხვა ან არ იცით, როგორ გაუმკლავდეთ სიტუაციას, დაუკავშირდით თქვენს ECL-ს, იურიდიულ განყოფილებას ან E&C-ს.

bp-ის მოთხოვნები და სასარგებლო რესურსები

მომწოდებლები და ბიზნესპარტნიორები

მექრთამეობისა და კორუფციის საწინააღმდეგო ზომები

საჩუქრები და გასართობი ღონისძიებები

– პოლიტიკა: ფინანსური დანაშაულის საწინააღმდეგო ზომები
– პროცედურა: პარტნიორების კომპლექსური შემოწმება და რისკების მართვა

ჩვენი მოლოდინები

დაამყარეთ და შეინარჩუნეთ სტაბილური საქმიანი ურთიერთობა მომწოდებლებთან და ბიზნეს პარტნიორებთან

ჩვენი ბიზნესის წარმოება და დაინტერესებული მხარეების მოლოდინების გამართლება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ჩვენს მომწოდებლებსა და ბიზნეს პარტნიორებზე. ამიტომ ჩვენ სიფრთხილით ვირჩევთ მათ, მივმართავთ ობიექტური შერჩევის პროცესს და ვახორციელებთ კონტრაგენტების სათანადო შესწავლას.

ჩვენ გვსურს ვითანამშრომლოთ ბიზნეს პარტნიორებთან, რომლებიც იზიარებენ ჩვენს მოწოდებას უსაფრთხოების, ეთიკისა და ნორმებთან შესაბამისობის სფეროში.

- ჩაატარეთ ჩვენი პარტნიორების გულმოდგინე შემოწმება იურიდიული და ეთიკური რისკების შეფასების მიზნით. პარტნიორების გულმოდგინე შემოწმება მოიცავს მექრთამეობის, კორუფციის,სავაჭრო სანქციებისა და ფულის გათეთრების რისკების შეფასებას.
- განუმარტეთ ჩვენი მოლოდინები მომწოდებლებსა და ბიზნეს პარტნიორებს, შეათანხმეთ სახელშეკრულებო ვალდებულებები, სადაც საჭიროა.
- გაითვალისწინეთ და დაიცავით bp-ს თქვენს ბიზნეს დანაყოფში მოქმედი მოთხოვნები, რომლების უკავშირდება თქვენს პარტნიორებს, კერძოდ მომწოდებლებს, აგენტებს, ერთობლივი საწარმოს პარტნიორებს და მთავრობებს.
- თუ შენიშნავთ, რომ რომელიმე მომწოდებელი ან ბიზნესპარტნიორი არ ასრულებს მოქმედი კანონის მოთხოვნებს ან საკონტრაქტო ვალდებულებებს, განაცხადეთ ამის შესახებ.

მტკიცედ აღუდექით წინ მექრთამეობას, კორუფციას და თაღლითობას

ჩვენს ბიზნესში არ შევეგუებით რაიმე ფორმის მექრთამეობას, კორუფციას და თაღლითობას.

- დაიცავით მექრთამეობის, კორუფციის და თაღლითობის საწინააღმდეგო კანონმდებლობა, რეგულაციები და bp-ის ფინანსური დანაშაულის საწინააღმდეგო მოთხოვნები და მხარი დაუჭირეთ ძალისხმევას, რომელიც მიმართულია მსოფლიოში მექრთამეობისა და კორუფციის აღმოფხვრისაკენ.
- დარწმუნდით, რომ ჩვენი ბიზნეს-პარტნიორები იზიარებენ ჩვენს მოთხოვნებს და საქმიანობენ მათთან შესაბამისობაში.
- არ შესთავაზოთ ან მიიღოთ ქრთამი, საკომისიო ან ნებისმიერი სხვა სახის არამართებული გასამრჯელო, მათ შორის, გასამრჯელო ხელშეწყობისთვის.
- აწარმოეთ ზუსტი საბუღალტრო ჩანაწერები ისე, რომ გადასახადები კეთილსინდისიერად იყოს აღწერილი და კომპანიის თანხები არ იყოს გამოყენებული არაკანონიერი მიზნებისთვის.
- დაადგინეთ, თავიდან აიცილეთ და მოახსენეთ ნებისმიერი ფორმის თაღლითობის შესახებ, მიუხედავად იმისა, bp-ის საწინააღმდეგოდ არის მიმართული თუ მის სასარგებლოდ. თაღლითობა ყოველთვის უკანონო და აკრძალულია.

საჩუქრები და გასართობი ღონისძიებები გაცვალეთ სათანადო წესით

ჩვენ არ ვიღებთ ან ვთავაზობთ საჩუქრებს ან გასართობ ღონისძიებებს რაიმე ბიზნეს უპირატესობის, მომსახურების ან კონფიდენციალური ინფორმაციის სანაცვლოდ ან ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

- დაიცავით ჩვენი მოთხოვნები დაკავშირებული საჩუქრებთან, გასართობ ღონისძიებებთან და მასპინძლობასთან, მათ შორის, ასეთი აქტივობების E&C-ის რეესტრში დაფიქსირების მოთხოვნები.
- თუ არსებობს კონფლიქტი bp-ის საჩუქრების, გართობი ღონისძიებებისა და გამასპინძლების ურთიერთგაცვლის მოთხოვნებსა და მოქმედ გარე მოთხოვნებს შორის, შეასრულეთ ყველაზე მკაცრი მოთხოვნა.
- არასოდეს შესთავაზოთ, გასცეთ ან მიიღოთ საჩუქრები ან გართობა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ქრთამად ან არის უხამსი, სექსუალურად ორიენტირებული ან სხვაგვარად შეუფერებელი.
- მიიღეთ იურიდიული განყოფილების თანხმობა, ვიდრე სახელმწიფო მოხელეებს გადაუხდით მგზავრობის ხარჯებს ან დაეთანხმებით მათ მოგზაურობასთან დაკავშირებული ყოველდღიური ხარჯების გადახდას.

ჩვენი მოლოდინები (გაგრძ.)

მოერიდეთ ანტიკონკურენტულ ქცევას

ჩვენ ვიცავთ კონკურენციის და ანტიმონოპოლიურ კანონებს. ეს არის კანონები, რომლებიც იცავს მომხმარებლებს ანტიკონკურენტული ქცევის აკრძალვით.

- არ დადოთ რაიმე სახის შეთანხმება ან გარიგება კონკურენტებთან ფასების დაყენების, გარიგებების გაყალბების, მომხმარებლების განაწილების ან მიწოდების შეზღუდვის მიზნით.
- გაარკვიეთ, ვინ არის რეალური ან პოტენციური კონკურენტი (მაგალითად, არამართული ერთობლივი საწარმო) და შეზღუდვები კონკურენტული თვალსაზრისით მგრძნობიარე ინფორმაციის გაცვლის შესახებ.

bp-ის მოთხოვნები და სასარგებლო რესურსები

კონკურენცია და ანტიმონოპოლიური გარემო

ინტერესთა კონფლიქტი

საერთაშორისო სავაჭრო რეგულაცია

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონები

– პოლიტიკა: კონკურენციის კანონი
– პოლიტიკა: ინტერესთა კონფლიქტი
– პოლიტიკა: საერთაშორისო სავაჭრო რეგულაცია
– პროცედურა: სავაჭრო სანქციები
– პროცედურა: ექსპორტის კონტროლი
– პროცედურა: ბოიკოტის საწინააღმდეგო ღონისძიებები

პროაქტიულად მართეთ ინტერესთა კონფლიქტები

ინტერესთა კონფლიქტი შეიძლება წარმოიშვას მაშინ, როდესაც თქვენი პირადი ინტერესები ან საქმიანობაზე გავლენას ახდენს, ან იქმნება განცდა, რომ თითქოს ზეგავლენას ახდენს, თქვენს უნარზე, მიიღოთ ობიექტური გადაწყვეტილებები bp-ის სასარგებლოდ.

- გაიაზრეთ კონფლიქტების წარმოშობის სხვადასხვა გზები. მაგალითად:
  - შეთავსებით მუშაობა და კავშირებიკონკურენტებთან, კლიენტებთან ანმომწოდებლებთან.
  - სამსახურებრივი ურთიერთობა ახლო ნათესავებთან.
  - ინტიმური ურთიერთობა პირთან, რომლის ანაზღაურებაზე, კარიერულ წინსვლაზე ან მართვაზე შეგიძლიათ გავლენის მოხდენა.
  - სხვა ორგანიზაციის დირექტორთა საბჭოს წევრობა.
  - ინვესტიციები, მათ შორის ახლო ნათესავების.
- გადაწყვეტილებების მიღებისას ყოველთვის იმოქმედეთ ობიექტურად და bp-ს წინაშე თქვენი პასუხისმგებლობის შესაბამისად
- შეასრულეთ ინტერესთა კონფლიქტის სფეროში არსებული ჩვენი მოთხოვნები, მათ შორის, აცნობეთ თქვენს ხელმძღვანელს იმ გარემოებების შესახებ, რომლებმაც შესაძლოა ინტერესთა შეუთავსებლობა, ან მისი არსებობის განცდა წარმოშვას. ასევე დააფიქსირეთ ასეთი გარემოებები E&C რეესტრში.

დაემორჩილეთ საერთაშორისო სავაჭრო კანონმდებლობას

საერთაშორისო სავაჭრო კანონმდებლობები - მათ შორის ეკონომიკური სანქციები, იმპორტისა და ექსპორტის კანონები და ბოიკოტის საწინააღმდეგო კანონები - ზოგადად კრძალავს ან ზღუდავს გარიგებებს გარკვეულ ქვეყნებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან, ან ნივთებთან მიმართებაში.

- დაიცავით ყველა იმ ქვეყნის მოქმედი სავაჭრო კანონმდებლობა, სადაც ჩვენ ვმუშაობთ.
- იცოდეთ, bp-ის რომელი მოთხოვნები ვრცელდება თქვენზე და თქვენს ბიზნესდანაყოფზე და შეასრულეთ ისინი.
- თუ თქვენ ჩართული ხართ კანონიერ, მაგრამ მაღალი რისკის მქონე ტრანზაქციებში, თქვენ უნდა მიიღოთ გაძლიერებული ზომები bp-ის პოლიტიკასა და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.
- იმპორტისთვის ან ექსპორტისთვის განკუთვნილი ნივთები (მათ შორის მატერიალური საქონელი ან არამატერიალური ნივთები, როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფა და ტექნოლოგია) წინასწარ უნდა იყოს კლასიფიცირებული და მათ მიმართ ყველა საჭირო პროცედურა - ეტიკეტირება, დოკუმენტაციის მომზადება, ლიცენზირება და დამტკიცება უნდა იყოს შესრულებული.

ფულის გათეთრების პრევენცია

ფულის გათეთრება არის უკანონო ტრანზაქციებში მონაწილეობა, რომელიც მოიცავს უკანონო ქმედებებით მოპოვებულ ქონებას ან დანაშაულის ან ტერორიზმის ხელშეწყობას.

- ნუ ჩაერთვებით ფულის გათეთრებაში და ნუ აწარმოებთ ბიზნესს იმ პირებთან, რომლებიც ჩვენი აზრით შეიძლება დაკავშირებულნი იყვნენ უკანონო საქმიანობასთან.
- განაცხადეთ ფულის გათეთრების ნებისმიერი ნიშანის შესახებ, მათ შორის საეჭვო ტრანსაქციების შესახებ, როგორიცაა რთული ან გაუმჭვირვალე სტრუქტურები ან საკუთრების გაურკვეველი წყაროები.
- არასოდეს დაეხმაროთ რომელიმე მხარეს გადასახადების უკანონოდ თავის არიდებაში.

მთავრობები და საზოგადოებები



ჩვენი პრინციპები

ჩვენ გვსურს, რომ მთავრობებთან და ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობით ჩვენი წვლილი შევიტანოთ ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებაში. ჩვენ ვაღიარებთ სუფთა ენერგიის მნიშვნელობას და სამართლიან ენერგეტიკულ გადასვლას, რომელიც პატივს სცემს ადამიანის უფლებებს და მდგრად საარსებო წყაროს.

ვენ ვიყენებთ მონაცემებსპასუხისმგებლობით და ვიცავთ ჩვენსმონაცემებსა და სისტემებს. ჩვენ გააზრებული გვაქვს, თუ რა გავლენას ახდენს ციფრული ტექნოლოგიები ჩვენს საზოგადოებაზე.

bp-ის მოთხოვნები და სასარგებლო რესურსები

ადამიანის უფლებები და საზოგადოების ჩართულობა

საჯარო კომუნიკაციები

პერსონალური მონაცემები

– პოლიტიკა: ადამიანის უფლებები
– პოლიტიკა: კომუნიკაციები და საგარეო საქმეები
– პოლიტიკა: მონაცემთა კონფიდენციალურობა

ჩვენი მოლოდინები

ადამიანის უფლებები და საზოგადოების ჩართულობა

ჩვენ მოწოდებულნი ვართ ვიმოქმედოთ მართებულად, როდესაც ვურთიერთობთ თანამშრომლებთან და საზოგადოებებთან და ვაწარმოებთ ჩვენს ბიზნესს. ჩვენ მოვუწოდებთ ჩვენს ხალხს და ბიზნესს, იზრუნონ სხვებზე და ჩაერთონ ადგილობრივ საზოგადოებრივ აქტივობებში.

ჩვენ გვინდა ვიყოთ სანდო მეზობლები, ღია, ეთიკური პოზიციის შენარჩუნებით და მრავალფეროვნების, ადგილობრივი კულტურისა და ჩვეულებების მიმართ პატივისცემის გამოხატვით, რათა დადებითი გავლენა მოვახდინოთ ყველგან, სადაც არ უნდა ვაწარმოოთ ბიზნესი. თითოეულ ჩვენგანს შეუძლია ითამაშოს როლი ადამიანის უფლებების დარღვევის გამოვლენაში, პრევენციასა და აღმოფხვრაში, როგორიცაა ბავშვთა შრომა, ადამიანით ვაჭრობა და იძულებითი შრომა.

- გვაცნობეთ ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევის შესახებ ჩვენს ან ჩვენი ბიზნეს-პარტნიორების საქმიანობაში, ნებისმიერი ჩვენი პრობლემური საკითხების წამოწევის არხის საშუალებით ან შრომითი უფლებებისა და თანამედროვე მონობის წინააღმდეგ ბრძოლის გუნდის დახმარებით.
- წინასწარ აცნობეთ C&EA-ს ადგილობრივ გუნდს სათემო ორგანიზაციების ან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან გასაუბრების შესახებ.
- მონაწილეობა მიიღეთ მხოლოდ ისეთ სოციალურ ინვესტიციებში ან სპონსორულ საქმიანობაში, სადაც შესაბამისი პროცესი არის დაცული და საჭირო ნებართვები მიღებული.

საჯარო კომუნიკაციები

აუცილებელია, რომ ჩვენი საჯარო კომუნიკაციები იყოს მკაფიო, ზუსტი, თანმიმდევრული და პასუხისმგებლიანი.

- მედიას ან საინვესტიციო საზოგადოების წევრებს ესაუბრეთ მხოლოდ მაშინ თუ შესაბამისი უფლებამოსილება გაგაჩნიათ; კონსულტაციისთვის მიმართეთ შესაბამის პრესსამსახურს ან ინვესტორებთან ურთიერთობის სამსახურს.
- გარე პრეზენტაციები შეიძლება იყოს შესანიშნავი გზა ჩვენი გამოცდილების სხვებისთვის გასაზიარებლად, მაგრამ დარწმუნდით, რომ ნებისმიერი მიწვევის მიღებამდე თქვენ გაქვთ საჭირო შიდა თანხმობა როგორც მიწვევაზე, ასევე პრეზენტაციის შინაარსზე.
- თუ თქვენ პოსტავთ ნებისმიერ ფორუმში, რომელიც შეიძლება ნახოს ჩვენმა თანამშრომლებმა ან მათ, ვისთანაც ბიზნესს ვაწარმოებთ, დაპოსტეთ ღირსეულად და გახსოვდეთ, რომ თქვენი სოციალური მედია პოსტები და კომენტარები არ არის ანონიმური და შეიძლება უარყოფითად აისახოს სამუშაო ადგილზე ან bp-ს ლეგიტიმურ ბიზნეს ინტერესებზე, მათ შორის ჩვენს რეპუტაციაზე.

ჩვენი დაცვის ქვეშ არსებული პერსონალური მონაცემები

ჩვენ პატივს ვცემთ პიროვნებების კონფიდენციალურობის უფლებებს და მზად ვართ დავიცვათ ჩვენი თანამშრომლების, კლიენტების და სხვათა პერსონალური მონაცემები, ვისთანაც bp ბიზნესს აწარმოებს.

პერსონალური მონაცემების დამუშავებისას:

- შეაგროვეთ და გამოიყენეთ ისინი მხოლოდ კანონიერი და აუცილებელი მიზნებისთვის.
- იყავით გამჭვირვალე ფიზიკურ პირებთან იმაზე, თუ როგორ გამოვიყენებთ მათ პერსონალურ მონაცემებს.
- შეინახეთ მონაცემები უსაფრთხოდ და დაიცავით ისინი შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გამოყენებით.
- არ გაუზიაროთ ისინი სხვებს ლეგიტიმური მიზეზის გარეშე. თუ მათი გაზიარება მოგეთხოვებათ, გამოიყენეთ შესაბამისი დაცვის ზომები.
- წაშალეთ მონაცემები, როდესაც ისინი აღარ არის საჭირო.

ჩვენი მოლოდინები (გაგრძ.)

ციფრული ტექნოლოგიების ეთიკურად გამოყენება

ჩვენ ვზრუნავთ ნებისმიერ გაუთვალისწინებელ შედეგზე ციფრული ტექნოლოგიების, მათ შორის ხელოვნური ინტელექტის, შემუშავებისას ან გამოყენებისას და იმ პოტენციურ რისკებზე, რომლებიც მათ შეიძლება შექმნან მათი ექსპლუატაციის განმავლობაში.

- გაითვალისწინეთ ნებისმიერი შესაბამისი პოლიტიკა ან სახელმძღვანელო მითითება, რომელიც ეხება თქვენს მიერ შემუშავებული ან გამოყენებული ციფრული ტექნოლოგიების ეთიკურ შედეგებს.
- თუ ეჭვი გეპარებათ ციფრული ტექნოლოგიების ეთიკურ გამოყენებაში, გაესაუბრეთ ციფრული ინოვაციებისა და ინჟინერიის გუნდს ან დაუკავშირდით ჩვენს საკითხების წამოწევის არხებს.

bp-ის მოთხოვნები და სასარგებლო რესურსები

AI მმართველობა
პოლიტიკური აქტივობა


ჩვენი პოზიცია პოლიტიკური საქმიანობის შესახებ

მოქმედი კანონების შესაბამისად, bp იყენებს თავისუფლებას, რათა მისი პოზიცია ცნობილი გახდეს შესაბამის საკითხებზე. როგორც ცალკე პიროვნებას, თქვენ გაქვთ უფლება პირადად მიიღოთ მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესში, მათ შორის შეიტანოთ პირადი პოლიტიკური წვლილი. თუმცა, თქვენ უნდა ცხადად აღნიშნოთ, რომ თქვენი პირადი შეხედულებები და ქმედებები არ არის bp-ის შეხედულებები და ქმედებები.

- არ გამოიყენოთ კომპანიის სახსრები ან რესურსები რომელიმე პოლიტიკური კანდიდატის ან პარტიის მხარდასაჭერად.
- ნებისმიერ ლობისტურ საქმიანობაში ჩართვამდე მიიღეთ ნებართვა.
- პირადი პოლიტიკური აქტივობებით ზოგჯერ შეიძლება თქვენ bp-სთან კონფლიქტში აღმოჩნდეთ. გაესაუბრეთ თქვენს უშუალო ხელმძღვანელს, თუ თქვენ ან თქვენი ახლო ნათესავი აპირებთ მიიღოთ ან დაიკავოთ საჯარო თანამდებობა, ან თუ ნებისმიერმა სხვა პოლიტიკურმა აქტივობამ შეიძლება გავლენა იქონიოს bp-ზე ან თქვენს როლზე bp-ში.



აქტივები და ფინანსური საიმედოობა



ჩვენ ვართ ანგარიშვალდებული და პასუხს ვაგებთ საკუთარ

ქმედებებზე

ჩვენი პრინციპები

ჩვენ ვიცავთ აქციონერთა წილის ღირებულებას, ვუფრთხილდებით ჩვენს აქტივებსა და რესურსებს და ვართ პატიოსანი, ანგარიშვალდებული და გამჭვირვალე ჩვენს საქმიანობასთან და მის შედეგებთან დაკავშირებით.

მოწოდებული ვართ აქტიურად გამოვავლინოთ და თავიდან ავიცილოთ bp-ს წინააღმდეგ მიმართული თაღლითური ქმედებები.

bp-ის მოთხოვნები და სასარგებლო რესურსები

ჩაწერეთ და შეინახეთ ზუსტი და სრული ინფორმაცია

დაიცავით bp-ის ქონება

ინსაიდერული გარიგება

– პოლიტიკა: ჯგუფის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მოთხოვნები
– პოლიტიკა: ჩვენი ინფორმაციის დაცვა
– პოლიტიკა: ინსაიდერული ინფორმაცია

ჩვენი მოლოდინები

ჩაწერეთ და შეინახეთ ზუსტი და სრული ინფორმაცია

ჩვენ ყველანი ხელს ვუწყობთ ფინანსური და არაფინანსური ინფორმაციის დაფიქსირების პროცესს. ჩვენი ინტერესებისა და კონფიდენციალურობის დაცვისას, ჩვენ უნდა ვიყოთ ღია და პატიოსანი ჩვენი ბიზნესის შედეგების შესახებ – იქნება ის კარგი თუ ცუდი.

ეს ინფორმაცია არსებითია bp-ისთვის, რათა შევძლოთ კეთილსინდისიერი გადაწყვეტილებების მიღება და ზუსტი და გამჭვირვალე ინფორმაციის მიწოდება დაინტერესებული მხარეებისა და საზოგადოებისთვის.

- დაიცავით მოქმედი კანონები და bp-ის მოთხოვნები დოკუმენტების შექმნის, წარმოების, შენარჩუნების ან განადგურების დროს, მათ შორის ელექტრონული დოკუმენტების შემთხვევაში.
- დარწმუნდით, რომ ყველა ტრანზაქცია სათანადოდ არის ავტორიზებული, აღრიცხული და მოხსენებული, მოთხოვნების შესაბამისად. ჩანაწერები უნდა იყოს კეთილსინდისიერი და ზუსტი.
- დარწმუნდით, რომ გაქვთ აუცილებელი შიდა ნებართვები, როდესაც bp-ის სახელით პასუხობთ მთავრობისგან ან მარეგულირებელი ორგანოსგან ინფორმაციის მოთხოვნას.

დაიცავით bp-ის ქონება

თითოეული ჩვენთაგანი ვალდებულია დაიცვას bp-ის აქტივები დაზიანებისგან ან თაღლითობისგან, მათ შორის ობიექტები, ქონება და აღჭურვილობა, კომპიუტერები და IT სისტემები, ინფორმაცია, კორპორატიული შესაძლებლობები და თანხები.

- მიიღეთ შესაბამისი ზომები, რათა არ დაუშვათ კომპანიის აქტივების დაზიანება, არამიზნობრივი გამოყენება ან დაკარგვა.
- უსაფრთხოდ შეინახეთ თქვენი მომხმარებლის ID და პაროლები.
- გამოიჩინეთ სიფხიზლე კიბერ-თავდასხმებისა და ქსელური მაქინაციების მიმართ, როგორიცაა, მაგალითად, „ფიშინგი“ და დაუყოვნებლივ განაცხადეთ bp-ის კუთვნილი ინფორმაციის ან აქტივების დაკარგვის ყველა პოტენციური თუ რეალური ინციდენტის შესახებ.
- კომპიუტერული აღჭურვილობა, ტელეფონები, ელ-ფოსტა და ინტერნეტ- კავშირი სამსახურებრივი მიზნებისთვის არის განკუთვნილი და მათზე მიმდინარეობს სისტემატური კონტროლი, რაც bp-ს კიბერ-თავდასხმებისა და მავნებლური ქმედებებისგან თავდაცვაში ეხმარება. პირადი მიზნებისთვის მათი შეზღუდული გამოყენება ნება დართულია.
- გამოიჩინეთ სიფრთხილე კონფიდენციალური ინფორმაციის დამუშავებისას, საჭიროების შემთხვევაში დაშიფრეთ და გაუზიარეთ იგი მხოლოდ ავტორიზებულ მიმღებებს.
- არ გააზიაროთ bp-ის ინფორმაცია კომპანიის გარეთ, თუ ინფორმაცია არ არის კლასიფიცირებული, როგორც „საჯარო“, bp-ის კონფიდენციალურობის პოლიტიკის შესაბამისად. დარწმუნდით, რომ bp-ის ინფორმაცია გამოიყენება მხოლოდ საქმიანი მიზნებისთვის, პირადი სარგებლობისთვის bp ინფორმაციის წაშლა აკრძალულია.
- დაიცავით ჩვენი ინტელექტუალური საკუთრება და პატივი ეცით სხვის ინტელექტუალურ საკუთრებას.

ნუ ჩაერთვებით ინსაიდერულ გარიგებებში

თქვენთვის შესაძლოა ცნობილი გახდეს ისეთი ინფორმაცია bp-ის შესახებ, რომელიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი და რომელიც სავარაუდოდ ჩაითვლება ინვესტორისთვის მნიშვნელოვნად bp-ის ფასიან ქაღალდებში ინვესტირების გადაწყვეტილების მიღების დროს („ინსაიდერული ინფორმაცია“). ინსაიდერული ინფორმაციის გამოყენება უკანონო მიზნებისათვის წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს. ეს მოიცავს აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების ყიდვას ან გაყიდვას, ან ნებისმიერი სავაჭრო გადაწყვეტილების მიღებას, რომელიც ეფუძნება ინსაიდერულ ინფორმაციას, მიუხედავად იმისა, აკეთებთ ამას თავად თუ აწყობთ სხვისთვის და არის თუ არა ეს თქვენს ან სხვა პირის სასარგებლოდ.

თანამშრომლები, რომელთაც აქვთ წვდომა პოტენციურ შიდა ინსაიდერულ bp-ს შესახებ ინფორმაციაზე, შეიძლება დაემატონ „ინსაიდერების სიას“ და მათ მიეწოდოს შემდგომი მითითებები.

- არასოდეს გააზიაროთ ინსაიდერული ინფორმაცია წინასწარი თანხმობის გარეშე.
- არასოდეს შეიძინოთ ან გაყიდოთ bp-ის ფასიანი ქაღალდები, თუ თქვენ გაქვთ ინსაიდერული ინფორმაცია.
- არასოდეს გაავრცელოთ ცრუ ინფორმაცია ან ჩაერთოთ სხვა საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს გამოქვეყნებული ფასიანი ქაღალდების ფასით მანიპულირებას.
- დაიცავით იგივე პრინციპები სხვა კომპანიების ინსაიდერულ ინფორმაციასთან დაკავშირებით.
- გახსოვდეთ, რომ ინსაიდერული გარიგებების წესები მაშინაც მოქმედებს, როდესაც აღარ ხართ bp-ის თანამშრომელი.

კითხვების შემთხვევაში მიმართეთ იურიდიულ განყოფილებას ან კომპანიის სამდივნოს.

ჩვენი კოდექსის რომელიმე ნაწილის შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლება დაუშვებელია წინასწარი ნებართვის გარეშე. შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლება დაიშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში. შესრულების ვალდებულებისგან განთავისუფლების მოთხოვნა წერილობითი ფორმით წარედგინება ეთიკის და ნორმებთან შესაბამისობის უფროს ვიცე-პრეზიდენტს (SVP).

ჩვენი კოდექსი არ ცვლის თქვენი შრომითი ხელშეკრულების პირობებს. ის განმარტავს, თუ რას მოელის კომპანია თითოეული თანამშრომლისგან და გვეხმარება, რომ ვიმოქმედოთ პასუხისმგებლობით და პატივისცემით. ჩვენი კოდექსის დარღვევამ შესაძლოა გამოიწვიოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გატარება, მათ შორის, სამსახურიდან დათხოვნა.

ჩვენი ქცევის კოდექსის ეს ვერსია ძალაშია 2026 წლის 26 მაისიდან.

ლექსიკონი

ბიზნესის კეთილსინდისიერების სამსახური (BI)

კომუნიკაციებისა და საგარეო საქმეთა სამსახური (C&EA)

ეთიკისა და ნორმებთან შესაბამისობის სამსახური (E&C)

ეთიკის და შესაბამისობის ოფიცერი (ECL)

ჯანმრთელობა, უსაფრთხოება, უშიშროება და გარემოს დაცვა (HSSE)

ოპერაციული მართვის სისტემა (OMS)

ადამიანების, კულტურის და კომუნიკაციის სამსახური (PC&C)

სამუშაოს უსაფრთხოებისა და ექსპლუატაციის რისკების მართვის სამსახური (S&ORA)



ჩვენ ვაკეთებთ იმას, რაც მართებულია